SAKHNAKHSHIRI | ISSN 2667-9396 | სექტემბერი | 2020 | №3

საქნახშირი
SAKNAKHSHIRI

მეშახტე

კომპანიის სიახლეები / ტექნიკური სიახლეები / თანამშრომლები / ღონისძიებები / ქველმოქმედება



ნათია თურნავა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი

30 აგვისტოს მთელი საქართველო აღნიშნავს მეშახტის დღეს, მაგრამ ქალაქ ტყიბულსა და ტყიბულის მუნიციპალიტეტში ეს დღე გაცილებით მეტია. აქ ალბათ არ არის ოჯახი, სადაც მეშახტეს არ უცხოვრია და ამდენად, აქ ყველაზე უკეთ იციან, რამდენად მძიმე და მნიშვნელოვანია ეს პროფესია.

მინდა მოგილოცოთ ყველას - მათ, ვისაც ტყიბულის ქვა-ნახშირის შახტებიდან გამოაქვს საქართველოს ეკონომიკისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი ნედლეული და მათ, ვინც ამ ხალხს ოჯახებში ხვდებით.

აუცილებლად მინდა მოვიგონო ისინი, ვინც პროფესიული საქმიანობის შესრულების დროს დაიღუპა. ეს ყველას დღეა!

დღეს ტყიბულის შახტები სამართავად ახალ ინვესტორს აქვს გადაცემული. მთავარი მოთხოვნა, რომელიც ჩვენ მათ მიმართ გვქონდა და გვექნება მომავალშიც, სწორედ მეშახტეთა საქმიანობისას უსაფრთხოების ნორმების დაცვას შეეხება. უსაფრთხოების ნორმების დაცვა არის ის წითელი ხაზი, რომლის გადაკვეთაზეც ჩვენ არ წავალთ და მინდა, ეს თითოეულმა მეშახტემ იცოდეს.

ჩვენ, ინვესტორ კომპანიასთან ერთად, აქტიურად ვმუშაობთ, რათა, პირველ რიგში, თანამედროვე ტექნოლოგიები დაინერგოს ტყიბულის შახტებში, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის უსაფრთხოებას ნედლეულის მოპოვებისას, მაგრამ ასევე აუცილებელია „საქნახშირის“ განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლა.

მნიშვნელოვანია, რომ პანდემიის პერიოდში ტყიბულის შახტებიდან არ შეჩერებულა ქვა-ნახშირის მოპოვება. დარწმუნებული ვარ, ერთობლივი ძალებით შევძლებთ ტყიბულში ამ მნიშვნელოვანი საწარმოს გამართული საქმიანობის უზრუნველყოფას, რომელიც წარმატებით მოემსახურება როგორც საწარმოში დასაქმებულებსა და მათ ოჯახებს, ისე ქალაქ ტყიბულს, მუნიციპალიტეტსა და მთლიანად საქართველოს.

ზვიად შალამბერიძე

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული

ჩვენი ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეებს, ჩვენს მეშახტეებს ვულოცავ პროფესიულ დღეს და მადლობას გადავუხდი იმ წვლილისთვის, რაც მათ შეაქვთ ამ დარგის და მთლიანად ეკონომიკის განვითარებაში.

ამ დღესთან დაკავშირებით, რამდენიმე დღის წინ მქონდა შესაძლებლობა კომპანია "საქნახშირის" გენერალურ დირექტორთან ზურაბ აღდგომელაშვილთან და ტყიბულის მერთან თეიმურაზ ჩუბინიძესთან ერთად მეშახტეთა შრომის დიდების მემორიალი გვირგვინით შეგვემკო.

ძვირფასო მეშახტეებო! თქვენი საქმიანობით ხართ ეკონომიკური სტაბილურობის გარანტი, თქვენ ავითარებთ დარგს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის და ასეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის თქვენს კეთილდღეობას. სახელმწიფო ყოველთვის იქნება თქვენს გვერდით, იზრუნებს თქვენი შრომითი პირობების კიდევ უფრო გაუმჯობესებაზე.

კიდევ ერთხელ გილოცავთ პროფესიულ დღესასწაულს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებულ საქმიანობას. საქართველოს ეკონომიკური წინსვლა სწორედ თქვენნაირი ადამიანების ფასდაუდებელ შრომაზეა დამოკიდებული.

მიხაილ სოცკი

„საქნახშირის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

ჩვენს მეშახტეებს და სრულიად ტყიბულს ვულოცავ მეშახტეთა პროფესიულ დღეს. მინდა მათ ჯანმრთელობა და ღვთის წყალობა ვუსურვო.

ეს ქალაქი მეშახტეებისაა და ჩვენთვის, ყველასთვის, ეს დღე განსაკუთრებულია. ამიტომაც გადავწყვიტეთ განსაკუთრებულად აღგვენიშნა. შრომისათვის და საქმისადმი პროფესიონალური მიდგომისთვის ჩვენ 33 მეშახტე დავაჯილდოვეთ. მათ შორის გახლდათ ორი ქალბატონიც, რომლებიც უკვე წლებია შახტაში მუშაობენ. მისასალმებელი და მისაბაძია მათი შრომისმოყვარეობა. ჩვენ ერთად მივიწევთ საერთო მიზნისკენ და ვიცი, რომ ყველაფერი გამოგვივა. კიდევ ერთხელ ვულოცავ ყველას. მიხარია რომ ერთი გუნდი ვართ.

ზურაბ აღდგომელაშვილი

„საქნახშირის“ გენერალური დირექტორი

მინდა მივულოცო ჩვენს მეშახტეებს პროფესიული დღე, ვუსურვო ჯანმრთელობა, სიმშვიდე და უფლის წყალობა. შახტების განვითარება, უსაფრთხოებისა და მეშახტეთა შრომის პირობების გაუმჯობესება ჩვენი გუნდის ყველაზე დიდი პრიორიტეტია, ჩემთვის კი ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა. მიხარია, რომ უკვე არაერთი მნიშვნელოვანი, საინარგებლო ცვლილების მონაწილეები და ინიციატორები ვართ.

უდიდესი პატივისცემა მინდა გამოვხატო იმ ადამიანების მიმართ, ვინც შახტები დააარსა და მათ მიმართ, ვინც დღეს ჩვენს გვერდით აღარ არიან. მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს მეშახტეებს, პროფესიონალიზმისთვის და გმირული, თავდადებული შრომისთვის, რომელსაც ყოველდღიურად გასწევენ საკუთარი ოჯახებისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

თემურ ჩუბინიძე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი

ჩემო ძვირფასო მეშახტეებო, კიდევ ერთხელ მინდა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მოგილოცოთ პროფესიული დღე! უპირველეს ყოვლისა, მადლობა მინდა გადაგიხადოთ თავდაუზოგავი შრომისა და პროფესიის ერთგულებისთვის.

მეშახტის პროფესია ნამდვილად გამორჩეულია, ამავდროულად, რთული და საპასუხისმგებლო. თქვენ ხართ ის ადმიანები, რომლებსაც საკუთარი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ფასად მნიშვნელოვანი წვლილი შეგაქვთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. ჩვენი ხელისუფლებისათვის მნიშვნელოვანია თითოეული თქვენგანის კეთილდეღეობა და უსაფრთხოება. მისასალმებელია, რომ მუნიციპალიტეტში მიმდინარე მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების პარალელურად, შახტებში ახალი ხელმძღვანელობის პირობებში ტექნოლოგიური განახლების და უსაფრთხოების გაძლიერების პროცესები ხორციელდება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ "საქნახშირის" ორგანიზებითა და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, წელს მეშახტეთა პროფესიული დღე მრავალფეროვანი ღონისძიებებით აღინიშნა. ვფიქრობ, ეს დღე ძალიან ლამაზი და სანახაობრივი გამოვიდა, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება დაუტოვა ყველა ასაკის ადამიანს.

ნატალია კობახიძე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

წელს, ტყიბულში, მეშახტის დღე განსაკუთრებულად ლამაზად აღინიშნა, რაც სასიამოვნოდ დასამახსოვრებელი აღმოჩნდა ჩვენი მუნიციპალიტეტი მოსახლეობისთვის. ჩვენს ქალაქს უამრავი სტუმარი ეწვია.

კომპანია „საქნახშირის" ორგანიზებითა და ტყიბულის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, ქალაქში მრავალფეროვანი გასართობი შოუ-პროგრამა დილიდან დაიწყო და მთელი დღის განმავლობაში გრძელდებოდა. „საქნახშირის" ხელმძღვანელობამ ხატვის კონკურსში გამარჯვებული ბავშვები დაასაჩუქრა, სპეციალური სიგელები და ფულადი ჯილდოები გადასცეს გამორჩეულ მეშახტეებს.

ნამდვილი სახალხო ზეიმი იყო. სასიამოვნო ემოციებს ვერ მალავდა ხალხი. ლაღი და მხიარული თვალებით იცქირებოდნენ პატარებიც. ერთობოდნენ და კმაყოფილი სახეებით მადლობას უხდიდნენ ღონისძიების ორგანიზატორებს.

ქალაქის ქუჩებში, დიდი თუ პატარა ზეიმის ხასიათზე იყო. მადლიერებას გამოთქვამდნენ ასეთი სასიამოვნო და მრავალფეროვანი ღონისძიების ორგანიზებისთვის. კიდევ ერთხელ ვულოცავ ამ რისკიან და ვაჟკაცურ პროფესიას ძვირფას მეშახტეებს! მჯერა, რომ ჩვენი ქვეყვნის მთავრობის და კომპანია „საქნახშირის" ხელმძღვანელობის ერთობლივი მუშაობით მიღწეული იქნება ტყიბულისათვის ამ უმნიშვნელოვანესი საწარმოს გამართული საქმიანობა.

ელგუჯა გოცირიძე

ტყიბულისა და თერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატი

მშრომელი ადამიანების მიმართ ყოველთვის გამოჩეული დამოკიდებულება მქონდა, სწორედ ამიტომ, პირველ რიგში, ჩემი დიდი პატივსცემა მინდა კიდევ ერთხელ დაგიდასტუროთ რისკიანი და ვაჟკაცური პროფესიის წარმომადგენლებს.

გულწრფელად შემიძლია ვთქვა, რომ ყოველთვის ვცდილობდი განსაკუთრებული ყურადღება გამომეჩინა თითოეული მეშახტის და მათი ოჯახების მიმართ, გულთან ახლოს მიმეტანა პრობლემები და შეძლებისდაგვარად დავხმარებოდი მათ.

მინდა ყველა მეშახტეს მოგილოცოთ პროფესიული დღესასწაული. გისურვოთ უსაფრთხო და ღირსეული სამუშაო პირობები, ჯანმრთელობა და წარმატებები.

მეშახტის დღე 2020

კომპანია "საქნახშირის" ორგანიზებითა და ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ტყიბულში, მეშახტის დღისადმი მიძღვნილი გასართობი ღონისძიებები გაიმართა.

კომპანია საქნახშირის გენერალურმა დირექტორმა, ზურაბ აღდგომელაშვილმა, იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულმა, ზვიად შალამბერიძემ, ტყიბულის მერმა, თემურ ჩუბინიძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ, ნატალია კობახიძემ მეშახტეთა შრომის დიდების მეორიალი მოინახულეს და ყვავილებით შეამკეს.

მეშახტის დღისადმი მიძღვნილი ჭიდაობის ტურნირი

30 აგვისტოს, ტყიბულის ქართული ჭიდაობის არენაზე, მეშახტეთა დღისადმი მიძღვნილი ჭიდაობის ტურნირი გაიმართა. შეჯიბრს იმერეთის სახელმწიფო რწმუნებული, ზვიად შალამბერიძე, დეპუტატობის კანდიდატი, ბეჟან ბიწაძე და ვეტერანი მეშახტე, სოსო ქიმუცაძე დაესწრნენ. ტურნირში 50-მდე ტყიბულელი და თერჯოლელი სპორტსმენი მონაწილეობდა. აბსოლუტურ წონით კატეგორიაში გამარჯვებულ არსენ ბრეგაძეს კომპანია „საქნახშირის“ გენერალურმა დირექტორმა, ზურაბ აღდგომელაშვილმა საჩუქრად ცხვარი გადასცა, რაც ქართული ჭიდაობის ტრადიციის ნაწილია. საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა, თემურ ჩუბინიძემ მოწვეულ სტუმრებთან ერთად მედლებითა და სიგელებით დააჯილდოვა.

ტურნირში ერთადერთი გოგონა, ლიზი სოფრომაძე მონაწილეობდა, რომელსაც სპორტულმა ცენტრმა სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

საპრიზო ადგილები წონითი კატეგორიების მიხედვით:

30 კგ. წონითი კატეგორია - ილია რობაქიძე (თერჯოლა); გიორგი ცირეკიძე (ტყიბული); მათე ცნობილაძე (ტყიბული); დათო ცნობილაძე (ტყიბული).

35 კგ. წონითი კატეგორია - თორნიკე ლანჩავა (გელათი); ლუკა ცქიფურიშვილი (გელათი); გიორგი ავალიანი (გელათი); ნიკა ჭარხალაშვილი (გელათი).

40 კგ. წონითი კატეგორია - დათო ხუჯაძე (თერჯოლა); ლაშა გუბელიძე (ტყიბული); ლუკა კუბლაშვილი (ტყიბული); ჯემალი ჭარხალაშვილი (გელათი).

55კგ. წონითი კატეგორია - ალექსი კუბლაშვილი (ტყიბული); გიორგი დადუნაშვილი (ტყიბული); საბა კუბლაშვილი (ტყიბული) გიორგი კუბლაშვილი (თერჯოლა).

აბსოლუტური წონითი კატეგორია - არსენ ბრეგაძე (ტყიბული); ზურა მოდებაძე (ტყიბული); გუგა ალავიძე (ტყიბული); ზურა გავაშელაშვილი (თერჯოლა).

გასართობი ღონისძიებები ბავშვებისთვის

მეშახტის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები მთელი დღის განმავლობაში გაგრძელდა. ჭიდაობის ტურნირის დასრულებისთანავე ბავშვებისთვის გასართობი პროგრამა დაიწყო - გაიმართა ქუჩის თეატრის კოსტიუმირებული მსვლელობა და მოეწყო უფასო საბავშვო ატრაქციონები. ბავშვთა გასართობი ღონისძიებების პარალელურად, ტყიბულის მერიის მიმდებარე ტერიტორიაზე ფოტოგამოფენა და ტყიბულის სამხატვრო სკოლის მოსწავლეების ნამუშევრების გამოფენაც მოეწყო.

გარდა ამისა, გაიმართა ხატვის კონკურსი. კონკურსის თემა იყო „ჩემი ქალაქი და მეშახტეები.“

პირველი ადგილი ნოდიკო ცხელიშვილის ნახატმა დაიკავა და მას კომპანია „საქნახშირის“ ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ფულადი პრიზი, 200 ლარი გადასცა.

თავისი ფავორიტი ნამუშევრები გამოავლინა საქართველოს პროფკავშირების გაერთიანებამაც და მეორე და მესამე ადგილზე გასული მონაწილეები, ქეთი ხორხომელიძე და გურანდა ბარბაქაძე დააჯილდოვა.

ღია სივრცეში, სადაც ნახატების კონკურსი მიმდინარეობდა, გამოფენილი იყო მუზეუმის ექსპონატებიც - მეშახტეების აღჭურვილობა, რომელსაც შახტების დაარსების პერიოდში იყენებდნენ.

ნოდიკო ცხელიშვილი

გურანდა ბარბაქაძე

ქეთი ხორხომელიძე

ადგილობრივი ანსამბლების კონცერტი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის წინ მოწყობილ სცენაზე მაყურებლის წინაშე ადგილობრივი ანსამბლებიც წარსდგნენ. კონცერტი მერიის კულტურის სამსახურის წარმომადგენელმა, მაია ბრეგაძემ გახსნა და მეშახტეებს პროფესიული დღე მიულოცა.

„მეშახტის დღე“ გრანდიოზული კონცერტით დაგვირგვინდა!

30 აგვისტოს გასართობი ღონისძიებები გრანდიოზული კონცერტით დაგვირგვინდა. კონცერტის დაწყებამდე თერჯოლისა და ტყიბულის მეუფემ, მამა გიორგიმ მეშახტეები დალოცა. ღონისძიების წამყვანმა, დათო ლიკლიკაძემ დაღუპული მეშახტეებიც გაიხსენა. დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო მათ ხსოვნას.

ღონისძიების მთავარი ნაწილი მეშახტეების დაჯილდოებას მიეძღვნა. დამსახურებების მიხედვით 33 მეშახტე შეირჩა (მათ შორის 2 ქალბატონი, რომლებიც შახტაში მუშაობენ). საღამო პოზიტიურ ნოტაზე, გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდა.

“საქნახშირმა” ილია გვენეტაძეს მაგისტრატურაში სწავლა დაუფინანსა

პროფესიით სამთო ინჟინერი და „საქნახშირის“ თანამშრომელი ილია გვენეტაძე 26 წლისაა. ილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო ინჟინერიის მაგისტრატურის სტუდენტია. ის რამდენიმე წელია სწავლასთან ერთად პარალელურად შახტაში მუშაობს. ილია ტექნიკური უსაფრთხოების უბნის უფროსის მოადგილე იყო, სულ რამდენიმე დღეა რაც პოზიცია შეიცვალა და სამუშაოდ შრომის უსაფრთხოების ისპექციაში გადავიდა.

ახალგზარდა მეშახტის მიზნები სამთო საქმიანობას უკავშირდება. უყვარს თავისი პროფესია, ამიტომ უმაღლეს სასწავლებელში მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას ის მშობლიურ ქალაქში, სამთო საქმინობაში იყენებს.

როგორც ილია ამბობს, მას პროფესიის არჩევა წინაპრების სამთოელობამ გადააწყვეტინა:

„მამაჩემი და ბაბუები სამთოელები იყვნენ. სწორედ აღნიშნულმა გარემოებებმა იქონიეს ჩემს გადაწყვეტილებაზე გავლენა. ზოგადად, სამთო საქმე ყველა მხრივ განსაკუთრებულია, ეს არის ადამიანის ერთგვარი ჭიდილი ბუნებასთან. რა თქმა უნდა, აღნიშნული პროფესია საფრთხის შემცველია, მაგრამ შეიძლება სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ ეს პროფესია ავირჩიე. ჩვენ დღეს უკეთესი სამთოელები უნდა ვიყოთ ვიდრე გუშინ ვიყავით. უნდა განვავითაროთ ჩვენი თავი და პროფესია, რადგან მომავალში სამთოელებს გაუმარტივდეთ წიაღისეულის მოპოვება.

ჩემი მიზნები მთლიანად სამთო საქმეს უკავშირდება. მინდა ბევრი ახალგაზრდა დაინტერესდეს აღნიშნული პრფესიით. „საქნახშირის“ მიერ ჩემი სწავლის დაფინანსება, ვფიქრობ, სხვებისთვისაც დიდი მოტივაცია იქნება რომ დაეუფლონ სამთო-ინჟინერის პროფესიას.

უმაღლეს სასაწვლებელში მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას შახტაში საქმიანობისას გამოვიყენებ. მაგისტრატურის დასრულების შემდეგ სწავლის დოქტორანტურაში გაგრძელებას ვაპირებ.

მადლობა „საქნახშირს“ და მის გენერალურ დირექტორს, ზურაბ აღდგომელაშვილს. რომ არა კომპანიის თანადგომა, ვერ შევძლებდი სწავლის გაგრძელებას“ - ამბობს ილია გვენეტაძე.

მადლობა ტყიბულელ პოლიციელებს!

კომპანია „საქნახშირი“ მადლობას უხდის ტყიბულის რაიონის პოლიციის სამმართველოს და ყველა პოლიციელს მეშახტის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების გამართვაში ხელშეწყობისა და გაწეული შრომისათვის. პოლიციის თანამშრომლები მთელი დღის მანძილზე მერიის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ და წესრიგსა და უსაფრთხოების ზომების დაცვას უზრუნველყოფდნენ.

„საქნახშირში“ სამუშაო შეხვედრები დასრულდა

შახტების რეკონსტრუქციისა და განვითარების გეგმის ფარგლებში, „საქნახშირში,“ ივლისისა და აგვისტოს განმავლობაში არაერთი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრები თანამშრომლების მონაწილეობით წარიმართა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში თითოეული მათგანი აქტიურად იყო ჩართული.

მსჯელობისა და განხილვების შედეგად, **N2 და N6 უბნების** თანამშრომლების მოთხოვნა ანაზღაურების გაზრდასთან დაკავშირებით დაკმაყოფილდა: 6000 ტონაზე დადგინდა 80 ლარი, 7000 ტონაზე - 90 ლარი, 8000 ტონაზე - 100 ლარი.

გარდა ამისა, შემოღებული იქნება შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტი (შმკ) და შეიქმნება ტრავმებისა და უბედური შემთხვევების კვლევითი კომისია.

N1 და N4 ნახშირმომპოვებელი უბნების თანამშრომლების მოთხოვნები იგივეა რაც N2 და N6 უბნების შემთხვევაში და მათი დაკმაყოფილებაც ანალოგიურად მოხდება. გარდა ამისა, მიმდინარეობს მსჯელობა N4 ნახშირმომპოვებელ უბანზე (ყოფილი ძიძიგურის შახტა) თანამშრომლებისთვის კვების ობიექტის მოწყობასთან დაკავშირებით.

სამთო-გაყვანითი სამუშაოების უბნებზე, პასპორტის მიხედვით მოხდება 1 მეტრის გაყვანითი სამუშაოების ნორმების გადახედვა.

საშახტო ტრანსპორტის უბანზე დაგეგმილია ხელფასის 20% გაზრდა (დამატებით +5% ბონუსის წილი). შეიქმნება ტრავმებისა და უბედური შემთხვევების კვლევითი კომისია და მოხდება შტატების დაკომპლექტება. მოხდება თანამშრომლების თბილი სპეცტანსაცმლით უზრუნველყოფა.

მემანქანეებისთვის თანრიგის მინიჭების საკითხი (კვალიფიკაციის და პროფესიონალიზმის მიხედვით) ჯერ-ჯერობით განხილვის ფაზაშია.
ენერგო-მექანიკური განყოფილების თანამშრომლებთან შეხვედრები ხელფასების გაზრდის საკითხს ეხებოდა. მათი მოთხოვნით, ხელფასები არ უნდა იყოს დამოკიდებული მოპოვებაზე.

ვენტილაციისა და ტექნიკური უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლებთან, აგრეთვე სატაბელო განყოფილების, საგაზო დაცვის განყოფილების, აფეთქებითი სამუშაოების წარმოების უბნის თანამშრომლებთან შეხვედრების თემა ძირითადი ხელფასის გაზრდა იყო. თუმცა, რიგ საკითხებზე შეთანხმება არ შედგა, მაგალითად: თანამშრომლების მოთხოვნა ღამის ცვლაში შრომის ანაზღაურებასა და მეორე ცვლაში დარჩენის შემთხვევაში ხელფასის გაზრდასთან დაკავშირებით, არ დაკმაყოფილდა.

სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების წარმოების უბნის თანამშრომლებთან შეხვედრის თემა იყო ძირითადი ხელფასის გაზრდა, ასევე გამომუშავებული ნორმებისა და განფასების გადახედვა.

ავტოსანტრასპორტო განყოფილების, ზედაპირული კომპლექსის, მასალების დამზადებისა და მიწოდების ჯგუფის, ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო კომპლექსის და სამშენებლო-სარემონტო განყოფილების თანამშრომლებთან შეხვედრებიც ხელფასის გაზრდას ეხებოდა. გარდა ამისა, შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს ზედაპირული სამთო მუშების ხელფასების გათანაბრებაზე, ასევე თანამშრომლებისთვის საჭირო ნივთების გადაცემასა და დამლაგებლის საშტატო ერთეულის დამატებაზე.

დალამვის უბნის წარმომადგენლებთან, დანარჩენი თანამშრომლების მსგავსად, საუბარი იყო ძირითადი ხელფასის მომატებასა და შტატის დაკომპლექტებაზე.
ხელფასის გაზრდა აქტუალური საკითხი იყო ნახშირის **გამამდიდრებელი ფაბრიკის** თანამშრომლებისთვისაც. გარდა ამისა, კომპანიის გადაწყვეტილებით, მოხდება მათი სპეცტანსაცმელით უზრუნველყოფა და ფაბრიკის ტერიტორიაზე ახალი სასადილოს აშენება; ასევე, ლაბორატორიის სავენტილაციო სისტემით აღჭურვა და მისი წინა ფასადის გადახურვა.
უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომლებთან შეხვედრის თემა იყო ოთახების დათბილვა, სეზონური სპეცტანსაცმლით უზრუნველყოფა, თანამშრომლების საჭირო ტექნიკით აღჭურვა და ხელფასის მომატება.

შეგახსენებთ, რომ შახტების სრული რეკონსტრუქციის გეგმის მიხედვით, მოხდება ინფრასტრუქტურის სრული განახლება, უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად გატარდება მნიშვნელვანი ღონისძიებები, თანამშრომელთა წახალისებისა და დაინტერესების მიზნით მოხდება ახალ, ბონუსური ანაზღაურების სისტემაზე გადასვლა და შედეგად, მოპოვება და რეალიზაცია გაიზრდება.

უფასო სამედიცინო აქცია ტყიბულში!

21-26 აგვისტოს, კომპანია „საქნახშირისა“ და საქართველოს პროფკავშირების ორგანიზებით, „იმერმედის“ საექიმო-საკონსულტაციო ცენტრში უფასო სამედიცინო აქცია გაიმართა.

21 აგვისტოს “იმერმედის“ ექიმებმა უფასო სამედიცინო მომსახურება გაუწიეს 18 წლამდე მოზარდებს შემდგი მიმართულებით: პედიატრია, ოტორინოლარინგოლოგია, ოფთალმოლოგია, ბავშვთა ნერვოლოგია, ბავშვთა ქირურგია და ტრავმატოლოგია. სულ 86 პაციენტი გაისინჯა.

მომდევნო აქცია 26 აგვისტოს გაიმართა. სამედიცინო ცენტრის ექიმებმა პაციენტებს უფასო სამედიცინო მომსახურეობა გაუწიეს შემდეგი მიმართულებით: მეან-გინეკოლოგია, ნეონატოლოგია და რადიოლოგია. უფასო მომსახურება ჯამში 50 პაციენტმა მიიღო. მსგავსი აქციები ტყიბულში მომავალშიც იგეგმება.

ტყიბულში აგვისტოს ომში დაღუპულ გმირებს პატივი მიაგეს

“საქნახშირის” ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, ბადრი არაბიძემ და ზაზა ძნელაძემ, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერთან, თემურ ჩუბინიძესთან, საკრებულოს თავმჯდომარესთან, ნატალია კობახიძესთან და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად 12 წლის წინ აგვისტოს ომში დაღუპული გმირები გაიხსენეს. ძიროვანსა და ბუეთში ნიკოლოზ ფორჩხიძისა და ფრიდონ ბრეგაძის საფლავები მათ ყვავილებით შეამკეს.

ტყიბულელი ჯარისკაცები, სამშობლოს დასაცავად, მტერთან უთანასწორო ბრძოლაში 11 აგვისტოს გმირულად დაიღუპნენ.

ნიკოლოზ ფორჩხიძე შინდისის გმირთაგან ერთ-ერთია, ვინც ალყაში მოქცეული, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდა. ტყიბულის მერიის მსგავსად, კომპანია “საქნახშირმა” ომში დაღუპულთა ოჯახებს 500-500 ლარი გადაურიცხა.

მინი ფეხბურთის ფინალი ტყიბულში

29 აგვისტოს, ტყიბულის ახლად გახსნილ საფეხბურთო სტადიონზე მეშახტეებს შორის მინი ფეხბურთის ფინალი გაიმართა. ნახევარფინალში ერთმანეთს გამამდირებელი ფაბრიკის გუნდი და საშახტო მზადების უბანი შეხვდენ. თამაში გამამდიდრებელი ფაბრიკის გუნდის გამარჯვებით 4:1 დასრულდა.

ამავე დღეს გაიმართა ფინალური თამაშიც, ერთმანეთს საშახტო ტრანსპორტის უბნისა და "ძიძიგურის" შახტის გუნდები შეხვდნენ. თამაში საშახტო ტრანსპორტის უბნის გამარჯვებით 2:0 დასრულდა. გამარჯვებულ გუნდებს ფულადი პრიზები გადაეცათ.

პირველ ადგილზე გასულ საშახტო ტრანსპორტის უბნის მოძრაობის გუნდს კომპანიის დირექტორმა, ზურაბ აღდგომელაშვილმა ფულადი პრიზი, 1000 ლარი გადასცა.

მეორე ადგილზე გასულ "ძიძიგურის" შახტის გუნდს 600 ლარი ერგო.

მესამე ადგილზე გასულ გამამდიდრებელი ფაბრიკის გუნდს კი 400 ლარი.

გარდა ამისა, გამოვლინდა თამაშის საუკეთესო ფეხბურთელი და მეკარე. საუკეთესო ფეხბურთელი **ირაკლი სახელაშვილი** გახდა. კომპანიამ ის 300 ლარით დაასაჩუქრა.

საუკეთესო მეკარედ **ლევან ლომთაძე** დასახელდა და მასაც 300 ლარი გადაეცა.

მინი ფეხბურთში შეჯიბრი საწირეს სტადიონზე 3 აგვისტოდან მიმდინარეობდა. ტურნირის ხელმძღვანელი და მსაჯი ალექსანდრ ლოვინი იყო. ღონისძიების ორგანიზებაში აქტიურად იყო ჩართული გელა უკლება. ფეხბურთელებს სამედიცინო მომსახურებას ექიმი გელა ბუბაშვილი უწევდა.

შეჯიბრი „საქნახშირის" ორგანიზებით და ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა. კომპანია მადლობას უხდის საფეხბურთო ტურნირის ყველა მონაწილეს და გულშემატკივრებს ღონისძიებაში აქტიურად ჩართვისთვის.



საქნახშირი
SAKNAKHSHIRI

მეშახტე
სექტემბერი | 2020 | №3

სარედაქციო საბჭო:
გვანცა დელიბაშვილი, გიორგი სულაძე, გაგა ისაკაძე, ირაკლი კირკიტაძე, ონისე საპანაძე, ბექა აშოთია, კახა ჩიქობავა.

მისამართი: ტყიბული, თაბუკაშვილის 13

"საქნახშირის"
კორპორატიული გამოცემა